

მოირგე სწორი დაზღვევა! – „ჯიპიაი ჰოლდინგი“ მომხმარებლებს ავტოდაზღვევის სრულიად ახალ კონცეფციას სთავაზობს

- ავტო აქტივის M, L და XL პაკეტებიდან, მომხმარებელი თავად არჩევს რომელი დაზღვევა ერგება მისი ცხოვრების სტილსა და საჭიროებებს.
- ავტო ფიქსი ჯიპიაის ახალი და უნიკალური პროდუქტია მათთვის, ვისაც უნდა დააზღვიოს მანქანა მარტივი პირობებით, ფიქსირებულ ფასად.

1 ივლისი. თბილისი. „ჯიპიაი ჰოლდინგი“ მომხმარებლებს სრულიად ახალ და ინოვაციურ ავტოდაზღვევის პროდუქტებს სთავაზობს. მოირგე სწორი დაზღვევა! - კამპანიის მთავარი მესიჯია, ავტო ფიქსი და ავტო აქტივი კი ავტოდაზღვევის ახალი პაკეტებია, რომელიც დაზღვეულმა ცხოვრების სტილიდან გამომდინარე თავის თავზე უნდა მოირგოს. სწორი დაზღვევის მოსარგებად მომხმარებელი moirge.com-ს უნდა ეწვიოს და მარტივ კითხვებს გასცეს პასუხი. პროგრამა კი მასზე მორგებულ პაკეტს და საჩუქარს შესთავაზებს.

პროდუქტის უნიკალურობა ისაა, რომ მომხმარებლებს საშუალება აქვთ მრავალფეროვანი პაკეტებიდან მათ საჭიროებებზე და ცხოვრების სტილზე მორგებული პოლისი აირჩიონ. მოირგე დაზღვევა ისე, როგორც ტანსაცმელი - ამბობენ კომპანიაში და შესაბამისად მომხმარებლებს ავტო აქტივის M, L და XL პაკეტებს სთავაზობენ. ეს პაკეტები ერთმანეთისგან პირობებითა და ფასით განსხვავდება, დაზღვევის მსურველებმა კი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე მათზე მორგებული შეთავაზება უნდა აარჩიონ.

ავტო ფიქსი ჯიპიაის სრულიად ახალი პროდუქტია, რომელსაც ბაზარზე ანალოგი არ აქვს. ეს არის დაზღვევა ადამიანებისთვის, ვისაც არ სურს ბევრი დრო დახარჯოს დაზღვევის პირობებში გასარკვევად. ეძებს მარტივ გადაწყვეტილებას ფიქსირებულ ფასად. ავტო ფიქსის მფლობელს ყოველთვიურად მხოლოდ 40 ან 50 ლარის გადახდა უწევს და ზუსტად იცის, რომ ნებისმიერი შემთხვევის დროს, თანხის 90% ჯიპიაი სრულად აუნაზღაურებს.

კოკა მანჯგალაძე, ლ დირექტორი მოადგილე : „ამ პროდუქტზე მუშაობისას ჩვენი მთავარი ამოცანა იყო ავტოდაზღვევა გაგვემარტივებინა და რეალურად მოგვერგო ადამიანების საჭიროებებზე, ჩენი ყველა შეთავაზება განსხვავებული და უნიკალურია, შესაბამისად მომხმარებლებს საშუალება აქვთ დაფიქრდნენ რა სჭირდებათ და ისე მოირგონ დაზღვევა. დღეს, საქართველოში ავტოდაზღვევის ბაზარი აუთვისებელია. სადაზღვევო კომპანიებს ძირითადად ერთნაირი შეთავაზებები გვქონდა და წლიდან წლამდე ერთი და იგივე მომხმარებელი მინიმალური სარგებლის გამო ხან ერთ კომპანიაში აზღვევდა ავტომობილს ხან მეორეში. ძალიან ბევრმა ადამიანმა არ იცის რამდენად საწირო და სასრგებლო პროდუქტია მათთვის. გასაგებიც არის, გაურკვეველ და რთულ სადაზღვევო პირობებში გარკვევა ბევრს არ უნდა. ჩვენ ვეცადეთ და შევქმენით დაზღვევის სრულიად ახალი კონცეფცია, რომელშიც ნებისმიერი მომხმარებელი აუცილებლად იპოვის თავის საჭიროებაზე მორგებულ პაკეტს. განსაკუთრებით გამოვყოფდი ავტო ფიქსს, რომელიც სრულიად უნიკალური პროდუქტია მათთვის, ვისაც აქამდე დაზღვევასთან შეხება არ ჰქონია, სურს მარტივად და ჭკვიანურ ფასად დააზღვიოს ავტომობილი. ყოველგვარი ზედმეტი

პირობების და გამონაკლისების გარეშე ფიქსირებულ ფასად აზღვევს ავტომობილს და ზარალის 90% ყველა შემთხვევაში უნაზღაურდება. „

მოირგე სწორი დაზღვევა! - ამ მესიჯით კომპანია აქტიური ცხოვრების სტილის მქონე ადამიანებს მიმართავს. მათ ვინც ყოველთვის მოქმედებაშია და მიზნის მისაღწევად იბრძვის. ჯიპიაში ამბობენ, რომ დაზღვევას სწორედ ასეთი ტიპის ადამიანები ირგებენ, რომ მიზნისკენ შეუფერხებლად იარონ.

სწორი დაზღვევისა და საჩუქრის მორგება moirge.com-ზე უკვე ნებისმიერ მსურველს შეუძლია. იმისთვის, რომ პროგრამამ თითოეულ ადამიანს მასზე მორგებული პაკეტი შესთავაზოს, მხოლოდ რამდენიმე კითხვაზე პასუხია საჭირო, პროცესის ბოლოს კი ყველა, ვინც დაზღვევას შეიძენს ავტომატურად ოხვდება აქციაში, სადაც : ავტოდაზღვევაზე 100%, 50%, 30% , 15% ფასდაკლებას და სხვა საჩუქრებს მიიღებს.

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა ავტოდაზღვევის ბაზარზე. ჯიპიას ავტოდაზღვევა ყველა გავრცელებული რისკისაგან დაგაზღვევთ: ავარია, ქურდობა, ვანდალიზმი, საგნების ვარდნა, სტიქია და სხვა. კომპანიის ზარალების რეგულირების სამსახური 24 საათიან რეჟიმში მუშაობს და გამოირჩევა სწრაფი და კომფორტული მომსახურებით. ჯიპიაში ავარიის შესახებ განაცხადის გაკეთება და ანაზღაურების მიღება ონლაინ არის შესაძლებელი. 1000 ლარამდე ზარალი კი დაზღვეულს ადგილზე უნაზღაურდება. 2020 წელს კომპანიამ ავტოდაზღვევით დაზღვეულებს 12, 988, 264 ლარი აუნაზღაურა.